ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 3/263

ქ. თბილისი 12 სექტემბერი, 2011 წელი

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, სს „პოპული" (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის გრიგოლ ცხვარაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" ბიუჯეტის სახსრებით, პროგრამის - ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალში ქვის კონსერვაციის განხორციელების ხელშეწყობის ფარგლებში, ხვადასხვა სასმელების შესყიდვა (CPV კოდი 15900000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია:

N	დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	ყავა ხსნადი მონარქი ჯაკობსი 200 გრ	ცალი	1	21.5	21.5
2	ყავა დაფქვილი ლებო ექსტრა 100 გრ	ცალი	11	2.9	31.9
3	ჩაი ერთჯერადი ლიპტონი 100ც	ცალი	1	10.2	10.2
4	მინერალური წყალი ნაბეღლავი 1000 მლ	ცალი	20	0.9	18
5	წყაროს წყალი ბახმარო 1500 მლ	ცალი	20	0.79	15.8

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების 1.2 მუხლში.

2.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 97.4 (ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

2.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში უზრუნველყოს მიწოდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5. შესყიდვის ობიქტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია - მანანა ვარძელაშვილი - სააგენტოს იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორების მოხდება მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა, სასაქაონლო ზედნადები და ა.შ.) წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და

შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, თამუკაშვილის #5 სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა № 200122900 ს/კოდი: 204562311	სს „პოპული“ მის: ქ. თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის 48/5 ს.ს. „საქართველოს ბანკი“ კოდი: BAGAGE22 ა/ა № 118642800 ს/კოდი: 206202919
გენერალური დირექტორი	**კომერციული დირექტორი**
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი	გრიგოლ ცხვარაძე